



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
ქ. ზესტაფონში, შპს "ჯორჯიან მანგანუზის" ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

23 მარტი, 2023

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ამ პროცესში განსახილველად გამოქვეყნებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

1. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიმდინარე პროცესის კანონთან შესაბამისობა

2023 წლის 23 თებერვალს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) „დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ - ქ. ზესტაფონში, შპს "ჯორჯიან მანგანუზის" ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ“. განცხადების თანახმად, გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომელიც 2019 წლის 3 ივნისს შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ მიერ წარდგენილი [განცხადების](#) საფუძველზე დაიწყო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე პროცესი კანონმდებლობის მოთხოვნების უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა, რაზეც 2021 წლის 10 სექტემბერ ჩვენს მიერ წარდგენილ [შენიშვნებში](#) მივუთითეთ.

თუმცა, 2022 წლის 1 მაისიდან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გადაცემის შემდეგ პროცესმა სრულიად აბსურდული სახე მიიღო. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა 2022 წლის 21 ნოემბრის N21/7084 [წერილით](#) შეწყვიტა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება და დაავალა 2 თვის ვადაში დოკუმენტის კორექტირება (ამ მიზნისთვის წარმოების შეწყვეტას ასევე არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა), რათა წარმოება სააგენტოში გაგრძელებულიყო. ჯორჯიან მანგანუზმა არც ვადა დაიცვა და არც სატანადო დოკუმენტაცია წარადგინა, თუმცა **2023 წლის 23 თებერვალს** გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში **2019 წლის 3 ივნისს** დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ როგორც ჩანს გარემოს ეროვნული სააგენტო არც საჯარო განხილვის ჩატარებას აპირებს და 2019 წლის 15 ივლისს კანონთან და რეალურ სიტუაციასთან სრულებით შეუსაბამო დოკუმენტის სამინისტროში (თბილისში) მხოლოდ გამა კონსალტინგისა და სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრაზე განხილვას საკმარისად თვლის.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ამდენად, ვთლით, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პროცესი იმთავითვე არალეგიტიმურია.

2. ქარხნის დარღვევებით ექსპლუატაცია

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ექსპლუატაცია იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება, დაუშვებელია. 2019 წელს მომზადებულ მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების ფონზე მკვეთრად გაუარესდა ქარხნის ტექნიკური მდგომარეობა და გაიზარდა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები (განსაკუთრებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე). კომპანიის მიერ ბოლო ათწლეულში გატარებული მინიმალური ღონისძიებების მიუხედავად, ზემოქმედების აღმოფხვრა და მინიმუმამდე შემცირება ვერ მოხერხდა შესასრულებელი სამუშაოების დიდი მოცულობიდან გამომდინარე და ქარხნის მიმდებარე საცხოვრებელ ზონებში კვლავ აღინიშნება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ფაქტები. აუდიტის ანგარიშში აღწერილი იყო არაერთი დარღვევა, რომელთა არსებობის ფონზეც ქარხანა შეუფერხებლად განაგრძობს ფუნქციონირებას დღემდე.

აუდიტის ანგარიშში აღწერილ დარღვევათაგან განსაკუთრებით საგულისხმოა საწარმოო-სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის გაუმართაობა. კერძოდ, უმოქმედო მდგომარეობაშია ნავთობპროდუქტების სეპარაციის სისტემა, ასევე, ავტოგრეიფერი, რომელიც გათვალისწინებულია სალექარიდან შლამის მოსაშორებლად; გამწმენდ ნაგებობას არ გააჩნია მოედანი შლამების განთავსებისთვის; ამასთან, სალექარის ფსკერის სადრენაჟო სისტემაში განადგურებულია კოქსის ფილტრი. გარდა იმისა, რომ აღნიშნული გაუმართაობების გამოსასწორებლად აუცილებელია სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, აღსანიშნავია, რომ გამწმენდი ნაგებობის მაქსიმალური საპროექტო წარმადობა ისედაც არაა საკმარისი ქარხანაში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური მოსალოდნელი ხარჯისთვის. კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო წარმადობაა 684 მ³/სთ, მაშინ როცა მაქსიმალური ხარჯი შესაძლოა იყოს 5 872.36 მ³/სთ.

გარდა ამისა, ქარხანა ფუნქციონირებს სხვა ისეთი დარღვევებით, როგორცაა: სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნების არარსებობა (აუდიტის პროცესში სატრანსპორტო ზეთების ნარჩენები, ზეთის ფილტრები და სხვა სახიფათო ნარჩენები ინახებოდა ღია ცის ქვეშ); ქარხნის ტერიტორიაზე არაა სანაყაროები, სადაც დროებით დასაწყობდება სალექარებიდან ამოღებული ლამი, მტვერი და წიდა შემდგომი გადამუშავებისთვის; არაა გადაწყვეტილი ფუჭი ქანების მართვის და ტერიტორიიდან გატანის საკითხი; საწვავით გასამართი პუნქტის ტერიტორიაზე საწვავით გასამართი სველი წერტილები არაა მიერთებული სანიაღვრე წყლების სისტემასთან, რაც ქმნის სანიაღვრე წყლების დაბინძურების მაღალ რისკებს; რკინიგზის ტრანსპორტის საამქროს ტერიტორიაზე აუდიტის პროცესში დაფიქსირდა ნიადაგისა და გრუნტის ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების ფაქტები; ზოგიერთ სანაყაროზე არ არის გატარებული პრევენციული ღონისძიებები და არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ადგილი აქვს მტვრის გავრცელებას.

ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა მრავალი დარღვევის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმატივებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების არქონის მიუხედავად, რატომღაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა დღემდე მაინც შეუფერხებლად აგრძელებს ფუნქციონირებას. 2020 წელს, საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (აღსანიშნავია, რომ წარმოება ერთი წლით ადრე, 2019 წლის 6 ივნისს დაიწყო) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ჩაატარეს ფეროშენადნობთა ქარხნის მოიტორინგი, რა დროსაც აღმოაჩინეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც არ იყო განხილული ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში, ან იყო ძალიან ზოგადი და საჭიროებდა დასაბუთებას და კონკრეტული გადაწყვეტის გზების დოკუმენტში ასახვას.

იმის ნაცვლად, რომ სამინისტროს, ქარხნის მონიტორინგისას ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან შეუსაბამობების აღმოჩენის გამო, კომპანიისთვის საქმიანობის გაგრძელება აკრძალა, მან „ჯორჯიან მანგანუმს“ დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შემჭიდროებულ ვადებში წარმოდგენა მოსთხოვა, თუმცა კომპანიამ დამატებითი ინფორმაცია მხოლოდ 2021 წლის 5 აგვისტოს, წელიწადნახევრის შემდეგ წარმოადგინა. ამის შემდეგ, კიდევ ერთ წელზე მეტი გახდა საჭირო იმისთვის, რომ გარემოს ეროვნულ სააგენტოს „ჯორჯიან მანგანუმისთვის“ გეგმა-გრაფიკში აღნიშნული ღონისძიებების შესრულების ვადების განახლება მოეთხოვა და მისგან შესაბამისად განახლებული დოკუმენტი მიეღო. ნათელია, რომ კომპანია ცდილობს გაიხანგრძლივოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის პერიოდი. საგანგაშოა, რომ ამას აკეთებს სახელმწიფოს მიერ დანიშნული სპეციალური გარემოსდაცვითი მმართველი და ამაში ხელს უწყობს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოს ეროვნული სააგენტო.

შედეგად, „ჯორჯიან მანგანუმის“ ფეროშენადნობი ქარხანა საქმიანობის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების პირველად დაწყებიდან დღემდე, ოთხი წლის მერეც აგრძელებს ფუნქციონირებას არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევით და მოძველებული, თანამედროვე სტანდარტებთან აბსოლუტურად შეუსაბამო ინფრასტრუქტურით.

3. მპს „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის ფორმა და განახლებული ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის საჭიროება

როგორც უკვე ვახსენეთ, კომპანია „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ეკოლოგიური აუდიტი 2019 წელს ჩატარდა. მას შემდეგ, 2020 წლის 10 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეწყვიტა ქარხნის საქმიანობის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება, რადგანაც მომზადებული ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მის საფუძველზე შედგენილი გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი არასრულყოფილად მიიჩნია, შემდეგ კი, უკვე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, 2022 წლის 21 ნოემბერს, კვლავ შეწყვიტა წარმოება და მოსთხოვა „ჯორჯიან მანგანუმს“ წარმოედგინა გეგმა-გრაფიკი ახალი ვადებით და განახლებული ეკოლოგიური აუდიტი.

მიუხედავად იმისა, რომ „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ეკოლოგიური აუდიტი 2019 წელს, ანუ ოთხი წლის წინაა ჩატარებული, კომპანია ცდილობს საქმიანობის გაგრძელების უფლება აღნიშნული ანგარიშის და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის საფუძველზე მიიღოს, რომლებშიც წარმოდგენილი არაერთი ინფორმაცია აღარ შეესაბამება სიმართლეს. მაგალითად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნებზე პასუხად, 2021 წლის 5 აგვისტოს წარმოდგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეკოლოგიურ აუდიტში დაპირებული ღონისძიება ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე წყლების ე.წ ქალაქის არხისგან, გურულების და ნამიჭაურის დელეებისგან განმხოლოებასთან დაკავშირებით აღარაა რელევანტური და ქარხნის ხელმძღვანელობა აღარ გეგმავს აღნიშნული წყლების განცალკევებას, რადგანაც გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება ქარხნის საწარმოო-სანიაღვრე წყლების და აღნიშნული დელეების ყველა ხარჯის ნორმირებული გაწმენდა. დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ ქარხნის ემისიის წყაროებზე ონლაინ მონიტორინგის სისტემების დამონტაჟების ვადები განსაზღვრული იყო 2021 წლის 1 ივნისისთვის და აღნიშნული ვალდებულება შესრულებულია, ონლაინ მონიტორინგის სისტემები დამონტაჟებულია პირველი და მეოთხე საამქროების მტვერდამჭერი ფილტრების აერაციულ ფანრებზე და დაწყებულია მათი ექსპლუატაცია უწყვეტ რეჟიმში.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელზეც კომპანია დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში საუბრობს არის წილის ავზებში ჩასხმა-გაგრილების დროს არაორგანიზებული გაფრქვევების შემცირებისთვის გატარებული ღონისძიებები. „ჯორჯიან მანგანუმი“ აცხადებს, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, როცა წიდა ციფხვიდან პირდაპირ ისხმებოდა წყლით სავსე რეზერვუარში, რაც იწვევდა წყლის უეცრად აორთქლებას და მავნე ნივთიერებების წარმოქმნას, ამჟამად წილის ჩასხმა მშრალ რეზერვუარში ხდება და მხოლოდ გაგრილების

შემდეგ ინამება წყლით. წილის დამუშავების საამქროში მსხვრევა ხდება ასევე სველი წესით და, შესაბამისად, მტვრის გავრცელების რისკიც მინიმალურია.

„ჯორჯიან მანგანუზის“ მცდელობა სამინისტროს შენიშვნებზე პასუხად დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის გზით მიიღოს საქმიანობის გაგრძელების ნებართვა, დაუშვებელია. იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტის ჩატარებიდან ოთხი წელია გასული და კომპანია თავადვე აღნიშნავს, რომ ქარხანაში არაერთი ცვლილებაა გატარებული, აუცილებელია, რომ კომპანიამ ახლიდან ჩაატაროს ფეროშენადნობი ქარხნის ეკოლოგიური აუდიტი ქარხანაში არსებული სრული და ობიექტური სურათის წარმოსაჩენად და შეადგინოს ახალი გეგმა-გრაფიკი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად ყველა შესასრულებლად სავალდებულო ღონისძიება. ამასთან, სააგენტომ ახლიდან უნდა ჩაატაროს ფეროშენადნობი ქარხნის მდგომარეობის მონიტორინგი, რათა დარწმუნდეს რომ ცვლილებები, რომლებზეც ზემოთ გვაქვს საუბარი, ნამდვილად გატარებულია, ეფექტურია და დამატებით შემარბილებელ ღონისძიებებს აღარ საჭიროებს. მანამდე კი, ფეროშენადნობ ქარხანას უნდა აეკრძალოს მნიშვნელოვანი დატვირთვით ფუნქციონირება, რაც აქამდეც უნდა მომხდარიყო და დასაშვები გაცდეს მხოლოდ დანადგარების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება.

4. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედეგისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-827-ით გათვალისწინებული ინფორმაციის ნაკლებობა

ჯორჯიან მანგანუზის მიერ მომზადებული ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას არაერთ ისეთ საკითხზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-827 ბრძანებით ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედეგისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე.

- აღნიშნული წესის მიხედვით, აუდიტის ანგარიში უნდა მოიცავდეს მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისას შესაძლო ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრას და რისკების ანალიზს, მოსალოდნელი შედეგების შეფასებას და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმას (მუხლი 3, „გ“ პუნქტი). თუმცა, „ჯორჯიან მანგანუზის“ აუდიტის ანგარიშში ვხვდებით მხოლოდ ერთ ნახევარგვერდიან თავს (თავი 9) სახელწოდებით „ქარხნის საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში შესაძლო ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება“, სადაც არც ავარიული სიტუაციების აღბათობაა განსაზღვრული და რისკებია გაანალიზებული და არც ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაა წარმოდგენილი. აღნიშნული თავის დასაწყისში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს - „შესაძლო ავარიული სიტუაციების თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებამდე უნდა მოხდეს ავარიული რისკ-ფაქტორების შეფასება, თუმცა მსგავს შეფასებას ვერსად ვხედავთ. რაც შეეხება ავარიების თავიდან არიდების ღონისძიებებს, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ საქმიანობის პროცესში ავარიების თავიდან არიდების მიზნით, დაცული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნები.
- აუდიტის ანგარიში არ მოიცავს არც გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს, რაც ასევე სავალდებულოდ წარმოსადგენი ინფორმაციაა (მუხლი 3, პუნქტი „ბ“).
- ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ასევე ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და მახასიათებლების და მათი შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ (მუხლი 3, პუნქტი „თ“). თუმცა, დოკუმენტში მსგავს მონაცემებს ვერ ვხვდებით. ნარჩენების მოცულობებთან დაკავშირებით, ეკოლოგიურ აუდიტში ნათქვამია, რომ ქარხნის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება მნიშვნელოვანი რაოდენობის სახიფათო და ინერტული არასახიფათო ნარჩენები, თუმცა კონკრეტული მოცულობები არაა წარმოდგენილი. ასევე

აღნიშნულია, რომ არასახიფათო ნარჩენებიდან აღსანიშნავია წილის გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი და ქარხნის ტერიტორიაზე დასაწყობებული რამდენიმე ათეული მილიონი მ³ ფუჭი ქანები, თუმცა მოცულობა არც აქაა დაზუსტებული.

რაც შეეხება ნარჩენების შემდგომი მართვის ღონისძიებებს, აუდიტის ანგარიშს თან არ ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა. გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში კი, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მხოლოდ ხუთი ისეთი ზოგადი სახის ღონისძიებაა შეტანილი როგორცაა: გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფა, სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსებისთვის საწყობის მოწყობა, სახიფათო ნარჩენების მიღება და გატანა ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შესაბამისად, ნარჩენების სეპარირებული შეგროვება.

- არ არის წარმოდგენილი, ასევე, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა თვითმონიტორინგის პროგრამასთან ერთად (მუხლი 3, პუნქტი „კ“);
- არ არის მოცემული მიმდინარე საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან აღდგენის ღონისძიებები და მათი განხორციელების გეგმა (მუხლი 3, პუნქტი „ლ“);

5. მდინარე ყვირილას დაბინძურება

აუდიტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქარხნის ტერიტორიაზე შემომავალი სტადიონის დელე, ასევე მდ. ყვირილა, საიდანაც ხდება წყლის აღება ტექნიკური მიზნებისთვის, ქარხანაში შემოსვლამდე უკვე მნიშვნელოვნად დაბინძურებულია და მათი დაბინძურების ხარისხი ხშირ შემთხვევაში აჭარბებს ჩამდინარე წყლების ხარისხობრივ მაჩვენებელს გაწმენდამდე კი. აქედან გამომდინარე, ქარხნის ტერიტორიიდან გამავალი ჩამდინარე წყლების ხარისხობრივ მაჩვენებელზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქარხნისგან დამოუკიდებელი გარემოებები, ქარხანაში წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე წყლების გავლენა საერთო ჩამდინარე წყლების ხარისხზე არაა მაღალი.

აღნიშნული მტკიცება სიმართლესაც რომ შეესაბამებოდეს და ქარხანაში დაგროვილი ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების დაბინძურების დონე ნაკლები იყოს ქარხანაში შემომავალი წყლების დაბინძურების დონეზე, ეს საერთოდ არ ხსნის კომპანია „ჯორჯიან მანგანუზის“ პასუხისმგებლობას და არ შეიძლება მდ. ყვირილას დაბინძურება მივიჩნიოთ ქარხნისგან დამოუკიდებელი ფაქტორებით გამოწვეულად. ეს იმიტომ, რომ ყველასთვის კარგად ცნობილია, მდინარე ყვირილას ასეთი მაღალი ხარისხით დაბინძურება პირდაპირ უკავშირდება „ჯორჯიან მანგანუზის“ მოპოვებით საქმიანობას ჭიათურაში, საიდანაც ხდება თავად ფეროშენადნობი ქარხნის მომარაგება მანგანუმით. ამგვარად, მდ. ყვირილას დაბინძურება ქარხნის შიგნით, თუ მის გარეთ, იმთავითვე არის „ჯორჯიან მანგანუზის“ საქმიანობით გამოწვეული და ამ პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს კომპანიამ.

აქედან გამომდინარე, მდ. ყვირილას დაბინძურების პრობლემის გადაჭრისთვის კონკრეტულ ღონისძიებებს უნდა ითვალისწინებდეს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკიც, რადგანაც სწორედ აღნიშნული ქარხნის მანგანუმით მომარაგების საჭიროების გამო ბინძურდება მდ. ყვირილა ჭიათურაში.

6. 5. გამწმენდი ნაგებობის არასაკმარისი წარმადობა და ახალი გამწმენდი სისტემის მშენებლობის საჭიროება

არც 2019 წელს მომზადებულ მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში და არც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში საუბარი არაა გამწმენდი ნაგებობის წარმადობის ზრდის შესახებ. კომპანია აცხადებს, რომ ე.წ ხობოულას სალექარის სრული რეაბილიტაცია ითვალისწინებს გამწმენდი ნაგებობის სალექარის გაწმენდას დალექილი ლამისგან,

სალექარის კვლების დაზიანებული უბნების შეკეთება-აღდგენას, და ასევე, ნავთობპროდუქტების შესაგროვებელი რეზერვუარის აღდგენას.

თუმცა, 2019 წელს მშს „ჯორჯიან მანგანუზის“ მიერ მომზადებულ ეკოლოგიურ აუდიტში ნათქვამია, რომ არსებული გამწმენდი ნაგებობის საპროექტო წარმადობა 684 მ³/სთ-ია, სულ ნაგებობაში შესული ჩამდინარე წყლების ხარჯი კი, შეიძლება იყოს 5 872.36 მ³/სთ. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებული გამწმენდი ნაგებობის სრული რეაბილიტაცია მოხდება, მისი წარმადობა მაინც ვერ დააკმაყოფილებს ჩამდინარე წყლების მაქსიმალურ ხარჯს, რადგანაც ამისთვის გამწმენდის წარმადობა თითქმის 9-ჯერ უნდა გაიზარდოს.

აღნიშნულ საკითხზე შენიშვნა ჰქონდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც, რომელმაც 2020 წლის 10 აპრილის N3788/01 წერილით „ჯორჯიან მანგანუზს“ მოსთხოვა შეემუშავებინა თანამედროვე ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საპროექტო ღონისძიებები ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების უზრუნველყოფის მიზნით და წარმოედგინა შესაბამისი დეტალური ინფორმაცია. თუმცა, ამ შენიშვნის პასუხად, კომპანია აცხადებს, რომ თუ არსებული გამწმენდი სისტემა რეაბილიტაციის შემდეგ ვერ უზრუნველყოფს ზღვი-ს ნორმების დაცვას, ამ შემთხვევაში მშს „ჯორჯიან მანგანუზი“ უზრუნველყოფს ახალი გამწმენდი სისტემის მოწყობას. კომპანიის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების შემდეგ „გარკვეულად“ გაუმჯობესდება გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობა, ახალი ნაგებობის მოწყობა არ წარმოადგენს აუცილებლობას.

სამინისტროს კონკრეტულ მოთხოვნაზე, კომპანიას წარმოედგინა ახალი გამწმენდის პროექტი, ასეთი ბუნდოვანი პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჯორჯიან მანგანუზი“ აუდიტის ანგარიშში თვითონვე აცხადებს, რომ არსებული გამწმენდის საპროექტო წარმადობა ჩამდინარე წყლების მაქსიმალურ ხარჯზე 9-ჯერ ნაკლებია, რასაც, რა თქმა უნდა, „გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობის გარკვეული გაუმჯობესება“ ვერანაირად ვერ უშველის.

ამგვარად, ნათელია, რომ „ჯორჯიან მანგანუზი“ უბრალოდ თავს არიდებს ახალი, თანამედროვე ტიპის, ქარხნის წარმადობასთან შესაბამისი გამწმენდი ნაგებობის აშენების ვალდებულების აღებას და ცდილობს მაქსიმალურად გააჭიანუროს ეს ნათლად აუცილებელი ქმედება.

7. რეაგირება სამინისტროს შენიშვნებზე

□ ინფორმაცია წილის შემდგომი გადამუშავების და წარმოებაში გამოყენების ღონისძიებების შესახებ

სამინისტრომ „ჯორჯიან მანგანუზს“ მოსთხოვა წარმოედგინა წილის სეპარაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენის გამოყენების შესაძლებლობის დასაბუთება (სამინისტროს 2020 წლის 10 აპრილის წერილი N3788/01), საავტომობილო გზების მოწყობასა და სამშენებლო მასალების წარმოებაში. ამასთან, მათი მეორადი რესურსული პოტენციალის შეფასება და კონკრეტული ღონისძიებები შემდგომი გადამუშავების და წარმოებაში გამოყენების მიზნით. თუმცა, დამატებით დოკუმენტში „ჯორჯიან მანგანუზი“ მხოლოდ ზოგადად საუბრობს მანგანუმნარევი წილის გამოყენების პოტენციალზე. კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებსაც განახორციელებს წილის სეპარაციის პროცესში წარმოქმნილი წილის მართვის მიზნით.

□ მზა პროდუქციის სამსხრევ-დამახარისხებელ უბნებზე არსებული მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ მომზადებული შენიშვნების პირველ დოკუმენტში სამინისტრო კომპანიისგან, ასევე, ითხოვდა წარმოედგინა მზა პროდუქციის სამსხრევ-დამახარისხებელ და დაფასობის უბნებზე არსებული მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების, მათი გამართულ მდგომარეობაში მოყვანის და ეფექტური ფუნქციონირების შესახებ

დეტალური ინფორმაცია. თუმცა, აღნიშნულ შენიშვნაზე პასუხად, კომპანია „ჯორჯიან მანგანუზი“ მითითებას აკეთებს გეგმა-გრაფიკში არსებულ ჩანაწერზე: „ქარხნის საწარმოო საამქროებში არსებული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების ასპირაციულ სისტემებში ჩართვისთვის შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტების დამუშავება და განხორციელება“. აღნიშნული ჩანაწერი არის ძალიან ზოგადი, არ ითვალისწინებს მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო ვერცერთ კონკრეტულ ღონისძიებას და ვერ პასუხობს სამინისტროს მოთხოვნას. აუცილებელია, რომ „ჯორჯიან მანგანუზს“ გეგმა-გრაფიკში ნათლად და დეტალურად ჰქონდეს ჩამოყალიბებული ყველა განსახორციელებელი ღონისძიება მტვერდამჭერი სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

კომპანია აქვე სძენს, რომ დღეისათვის ინტენსიურად მიმდინარეობს მზა პროდუქციის სამსხვრევ-დამახარისხებელი და დაფასეობის უბნებზე არსებული ასპირაციული და მტვერდამჭერი სისტემების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. თუმცა, ვერც ეს პასუხია მისაღები, რადგანაც რეაბილიტაციის კონკრეტული ღონისძიებები უკვე ჩამოყალიბებული და შეტანილი უნდა იყოს გეგმა-გრაფიკში.

- **ინფორმაცია N1 და N4 საამქროების ღუმელებიდან შენადნობთა გამოშვების და ჩამოსხმის (არაორგანიზებული გაფრქვევების წყაროების) ოპერაციების მავნე ნივთიერებათა შემკრებით აღჭურვის ღონისძიებების შესახებ**

სამინისტრო პირველად წარმოდგენილ შენიშვნებში კომპანიისგან, ასევე, ითხოვდა N1 და N4 საამქროების ღუმელებიდან შენადნობთა გამოშვების და ჩამოსხმის (არაორგანიზებული გაფრქვევების წყაროების) ოპერაციების მავნე ნივთიერებათა შემკრებით აღჭურვის შესახებ კონკრეტულ ღონისძიებებს. პასუხად, კომპანია „ჯორჯიან მანგანუზმა“ განაცხადა, რომ N4 საამქროს სამ ღუმელზე არაორგანიზებული გაფრქვევების შემცირების მიზნით უკვე მოწყობილი ჰქონდა ლოკალური ასპირაციული სისტემები, რომლებიც მიერთებულია საამქროს მტვერდამჭერ ფილტრებზე. კომპანიის ცნობით, მსგავსი ღონისძიების განხორციელება დაგეგმილი იყო დანარჩენ ღუმელებზეც.

კომპანიის მხრიდან, სამინისტროს კონკრეტულ მოთხოვნაზე ასეთი ზოგადი პასუხის გაცემა მიუღებელია. „ჯორჯიან მანგანუზის“ პასუხში არაა დაკონკრეტებული არც ვადები, თუ როდის აღიჭურვება ყველა ღუმელი ამ სისტემით (სულ 11 ღუმელია). კომპანიის მიერ მეორედ წარმოდგენილ გეგმა-გრაფიკში, სადაც ღონისძიებების შესრულების განახლებული ვადებია მითითებული, აღნიშნული ღონისძიება შეტანილია ასეთი ჩანაწერით - „ქარხნის საწარმოო საამქროებში არსებული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების ასპირაციულ სისტემებში ჩართვისთვის შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტების დამუშავება და განხორციელება“, შესრულების ვადაში კი, მითითებულია შესრულებულია-გაგრძელდება მუდმივ რეჟიმში. აუცილებელია განახლებულ გეგმა-გრაფიკში მითითებული იყოს ამჟამად რამდენ ღუმელზეა ეს სისტემები დაყენებული (დამატებითი ინფორმაციის პირველად წარმოდგენის მომენტისთვის სისტემები დაყენებული იყო მხოლოდ სამ ღუმელზე, კომპანია კი, ამტკიცებს, რომ არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების ასპირაციულ სისტემებში ჩართვაზე მუშაობა მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს), რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს უკვე დამონტაჟებული სისტემები და საბოლოოდ როდის დაყენდება ასპირაციული სისტემები ყველა ღუმელზე.